საიდ. №71256/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №101-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „ევროლუქსი”-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №101-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 მარტის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №331/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „EUROLUX” (საიდ. №71256/03) დარეგისტრირება საქართველოში (მე-7, მე-9 , მე-11 და 21-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 მარტის №331/03 ბრძანებაზე თანდართული

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის „EUROLUX“ რეგისტრაცია მოითხოვება მე-7, მე-9, მე-11 და 21-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. სიტყვიერი ნიშნის შემადგენელი ელემენტი EURO არ ანიჭებს ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას, რადგან იგი მიუთითებს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნით ნიშანდებული საქონლის შესაძლო წარმომავლობაზე, სიტყვიერი აღნიშვნა LUX კი მიუთითებს, რომ ამ ნიშნით ნიშანდებულ საქონელს აქვს უმაღლესი ხარისხი. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშანი შედგება საქონლის ხარისხის მახასიათებლისაგან და არაგანმასხვავებელუნარიანი ელემენტისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, განცხადებულ ნიშანს „EUROLUX“ უარი ეთქვა რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი შპს „ევროლუქს” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სიტყვა ხელოვნურია და მას არ გააჩნია აზრობრივი დატვირთვა. ამდენად სიტყვის ნაწილების ცალკე განხილვა და მათთვის დატვირთვის მინიჭება არამართებულია. სიტყვის ნაწილების ცალ-ცალკე განხილვის შემთხვევაშიც ჩნდება კითხვა, მაგალითად რატომ არის „საქპატენტში” დარეგისტრირებული 100-ზე მეტი სასაქონლო ნიშანი სხვადასახვა კლასების საქონლისა და მომსახურებისთვის, რომლებშიც შემადგენელ ელემენტად, როგორც ცალკე სიტყვა, შედის სიტყვა LUX. აპელანტის მითითებით, ამ სიტყვის განსაკუთრებით ხშირი მომხმარებელია ჰოლანდიური კომპანია „UNIVELER N.V.” რომელსაც აქვს 20-ზე მეტი რეგისტრირებული ნიშანი ამ სიტყვის გამოყენებით (დანართები: რეგ. №16830 LUX SUN KISSED, რეგ. №16774 LUX CREAMMY DELIGHT, რეგ. №16775 LUX PETAL TOUCH, რეგ. №16776, რეგ. №16778, რეგ №16779, რეგ. №16780 და სხვები). უფრო მეტი მაგალითი არსებობს, როდესაც რეგისტრირებულია სიტყვა LUX (დანართები: რეგ. №23455, რეგ. №22533, რეგ. №8960). აპელანტის განმარტებით, სათუოა, რამდენად გამოხატავს სიტყვა LUX ხარისხს. თუ დავეყრდნობით უცხო ენათა განმარტებათა ლექსიკონს, აღნიშნული სიტყვა ფრანგულად ნიშნავს ფუფუნებას, ხოლო ლათინურად ნიადაგის

ნოეიერებას და რამდენად არის ეს ხარისხის გამომხატველი ცოტა გაუგებარია. აპელანტის პოზიციით, იგივე ეხება სიტყვის ნაწილსაც EURO, რომელიც ასევე ხშირად გამოიყენება ხელოვნური სიტყვების შემადგენელ ნაწილად მაგალითად: რეგ. №22673, რეგ. №23354, რეგ. №15129, რეგ. №13840. აპელანტის მითითებით, ნათელია, რომ მას აქტიურად იყენებენ როგორც ევროპული, ისე არაევროპული ქვეყნები. ამდენად აპელირება, რომ სიტყვის ამ ნაწილმა შესაძლოა მიუთითოს საქონლის წარმომავლობაზე გაუგებარია, იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო რეგისტრაციების სასაქონლო ნიშნებზე, რომლებიც საკმარისადაა გავრცელებული საქართველოზე და რომლებიც შეიცავენ ხელოვნურ სიტყვებს ელემენტით EURO. აპელანტის განმარტებით, გაუგებარია საიდან გაჩნდა მოსაზრება, რომ სიტყვა EURO მიუთითებს საქონლის წარმომავლობაზე. როგორც ესეთი ევრო საქონელი არ არსებობს, არსებობს საქონელი წარმოებული ამა თუ იმ ევროპულ ქვეყანაში, ხოლო ევრო სტანდარტი და მოთხოვნა ევროპული ქვეყნებისადმი საქონლის ხარისხის ტექნიკური უსაფრთხოების, ეკოლოგიური უსაფრთხოების და სხვა მაჩვენებელთა მიმართ არსებობს და თუ იქნება ასეთი მოთხოვნები საქონლის მიმართ, ამაში ცუდი არაფერია და პირიქით მისასალმებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 მარტის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №331/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „EUROLUX" (საიდ. №71256/03) დარეგისტრირებას საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ". ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი

რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისგან ანდა მიჩნეულია ასეთად".

კოლეგია იზიარებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშანს საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „EUROLUX" უნდა განვიხილოთ მთლიანობაში. აღნიშნული სიტყვიერი აღნიშვნა წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვას, რადგან ერთიანობაში სიტყვა „EUROLUX" ქართულად არ წარმოადგენს რაიმე სიტყვის აღმნიშვნელ ტერმინს. ხოლო განცხადებულ სასაქონლო ნიშანს თუ დავყოფთ და განვიხილავთ ცალ-ცალკე, სიტყვა LUX ცალსახად ქართულ ლექსიკონში არ მიუთითებს ისეთ ტერმინზე, რომელიც შეიძლება პირდაპირ აღწერდეს საქონლის ხარისხს. რაც შეეხება სიტყვას „EURO" არც ის მიუთითებს პირდაპირ საქონლის წარმომავლობაზე, შესაბამისად არ შეიძლება მსგავსი ტერმინი ჩაითვალოს საქონლის მიმართ არაგანმასხვავებელუნარიანად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ როგორც ეროვნულ ასევე, საერთაშორისო პრაქტიკაში მრავლადაა რეგისტრირებული ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომლებიც შეიცავენ ცალკე აღნიშვნად სიტყვას „EURO".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „EUROLUX" (საიდ. №71256/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის

პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ევროლუქსი”-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 მარტის №331/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „EUROLUX” (საიდ. №71256/03) დარეგისტრირდეს საქართველოში.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ი. გიქორაშვილი
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	მ. ბაკურაძე